საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №1014

2008 წლის 21 ნოემბერი

ქ. თბილისი

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21^2 მუხლის მე-2 პუნქტის, 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „$შ^1$.ბ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილების და „მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 9 თებერვლის №29 დადგენილების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გ. ნოდია

დანართი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 6 ივნისის ბრძანება № 92/ ნ – ვებგვერდი, 08.06.2017წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის ბრძანება 67/ნ - ვებგვერდი 01.07.2020წ.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

1. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი (შემდგომში – სტანდარტი), „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „$ღ^3$“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პროფესიული ვალდებულებების, ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების ჩამონათვალის ერთობლიობაა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა თანამდებობის მასწავლებელი. სტანდარტის მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.

2. სტანდარტი არის მასწავლებლის მომზადების, პროფესიული რეგულირების და კარიერული ზრდის განმსაზღვრელი დოკუმენტი.

3. მასწავლებლის საგნობრივი კომპეტენცია რეგულირდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

მუხლი 2. სტანდარტის გამოყენების არეალი

1. სტანდარტის გამოყენება შესაძლებელია მასწავლებლის პროფესიის რეგულირების სფეროში სხვადასხვა პოლიტიკური დოკუმენტისა თუ მექანიზმის შესამუშავებლად.

2. სტანდარტის გამოყენება შესაძლებელია შემდეგი დანიშნულებით:

ა) თვითშეფასებისთვის – იმისთვის, რომ მასწავლებელმა შეძლოს საკუთარი პრაქტიკის რეფლექსია, გამოკვეთოს მიმართულებები, რომლებშიც მას ესაჭიროება განვითარება და განსაზღვროს საკუთარი პროფესიული განვითარების მიზნები სასწავლო პრაქტიკის დასახვეწად და მოსწავლეთა სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად;

ბ) კოლეგების ურთიერთშეფასებისთვის – იმისთვის, რომ სტანდარტი მასწავლებლებმა გამოიყენონ სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების აქტივობების დასაგეგმად და განსახორციელებლად;

გ) მასწავლებლის კომპეტენციებისა და საქმიანობის შეფასებისთვის – იმისთვის, რომ სტანდარტის თითოეული მიმართულებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, შეფასდეს მასწავლებლის კომპეტენციები და საქმიანობა, ასევე, მის მიერ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესრულება და მიღწეული შედეგები;

დ) მასწავლებელთა საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციის დადასტურების გამოცდისთვის პროგრამებისა და ტესტური ინსტრუმენტების შესაქმნელად;

ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებისთვის;

ვ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების შინაარსის განსაზღვრისა და პასუხისმგებელი უწყების მიერ ამ პროგრამების აკრედიტაციისთვის;

ზ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მიზნით მასწავლებლის კომპეტენციების დადგენისა და შეფასებისთვის;

თ) მასწავლებლობის მსურველის კომპეტენციების განსაზღვრისა და შეფასებისთვის;

ი) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შემუშავების, განახლებისა და დამტკიცებისთვის.

მუხლი 3. სტანდარტის სტრუქტურა

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი შედგება ორი ნაწილისაგან:

1. პირველი ნაწილი ზოგადია (II, III, V და VI თავები), რომელიც განსაზღვრავს მინიმალურ კომპეტენციებს ყველა თანამდებობის მასწავლებლისთვის (II და III თავები უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლებისთვის), ასევე, სპეციალური მასწავლებლისთვის (V და VI თავები უფროსი სპეციალური, წამყვანი სპეციალური და მენტორი სპეციალური მასწავლებლისთვის) და მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას:

ა) სასწავლო პროცესი;

ბ) პროფესიული პასუხისმგებლობები და ეთიკა.

2. სტანდარტის მეორე ნაწილში (IV თავი) მოცემულია დამატებითი მოთხოვნებისა და კომპეტენციების ჩამონათვალი წამყვანი და მენტორი მასწავლებლისათვის, ასევე, (VII თავი) მოცემულია დამატებითი მოთხოვნებისა და კომპეტენციების ჩამონათვალი წამყვანი სპეციალური მასწავლებლისათვის და მენტორი სპეციალური მასწავლებლისთვის, ხოლო თანდართულ შესაბამის ცხრილ(ებ)ში მოცემულია კონკრეტული სტატუსის მქონე მასწავლებლების/სპეციალური მასწავლებლების ფუნქცია-მოვალეობები შესაბამის კომპეტენციებთან ერთად.

3. პირველი ნაწილის თითოეულ მიმართულებაში გამოყოფილია ქვეპუნქტები, რომელთათვისაც განსაზღვრულია შესრულების ინდიკატორები, რაც გამჭვირვალეს ხდის მოთხოვნებს მასწავლებელთა საქმიანობის მიმართ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 5 აპრილის დადგენილება №23/ნ - ვებგვერდი, 06.04.2023 წ.

თავი II. სასწავლო პროცესი

მუხლი 4. პოზიტიური, უსაფრთხო, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა და კლასის მართვა

პოზიტიური, უსაფრთხო, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნისა და კლასის

მართვის ინდიკატორები:

ა) თანასწორობის პრინციპებზე აგებული ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შექმნაზე ზრუნვა მოსწავლეებთან ერთად და მოსწავლეებს შორის;

ბ) კეთილგანწყობილი, მოსწავლეთა მამოტივირებელი გარემოს ორგანიზება უნივერსალური დიზაინის პრინციპების შესაბამისად;

გ) ყველა მოსწავლის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში – სსსმ) მოსწავლეების) ჩართვა სასწავლო პროცესში;

დ) კულტურული მრავალფეროვნების, დემოკრატიის, სამართლიანობის, კანონის უზენაესობის აღიარება და პატივისცემა;

ე) კლასის მართვის ეფექტიანი სტრატეგიების გამოყენება;

ვ) მოსწავლეების თვითრეგულირებადი ქცევის წახალისება;

ზ) მოსწავლეებში მოქალაქეობრივი აზროვნების განვითარების ხელშეწყობა;

თ) მოსწავლეებთან კომუნიკაციის ეფექტიანი სტრატეგიების ფლობა და გამოყენება;

ი) მოსწავლეებისთვის თვითრეალიზაციისა და თვითგამოხატვის შესაძლებლობის მიცემა;

კ) მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარების ხელშეწყობა;

ლ) კონფლიქტის პრევენციისა და მოგვარების ეფექტიანი სტრატეგიების ცოდნა და გამოყენება.

მუხლი 5. სასწავლო პროცესის დაგეგმვა

სასწავლო პროცესის დაგეგმვის ინდიკატორები:

ა) სხვადასხვა ტიპის საგნობრივი სასწავლო გეგმების ცოდნა და შემუშავება;

ბ) სასწავლო პროცესის დაგეგმვისას კონსტრუქტივიზმის ძირითადი პრინციპებისა და დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინება;

გ) კლასგარეშე (ექსტრაკურიკულარული)/არაფორმალური აქტივობების დაგეგმვა მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით;

დ) სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება და ციფრული მოქალაქეობის პრინციპების გათვალისწინება;

ე) სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინება.

მუხლი 6. სწავლისა და სწავლების სტრატეგიების გამოყენება

სწავლისა და სწავლების სტრატეგიების გამოყენების ინდიკატორები:

ა) სასწავლო პროცესში სხვადასხვა დონის კურიკულუმების გამოყენება და მოდიფიცირება გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო მიზნების, ასევე მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით;

ბ) თითოეული მოსწავლის, მათ შორის სსსმ მოსწავლის, საჭიროებასა და ინტერესებზე მორგებული სასწავლო მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება;

გ) მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების მიზნით შესაბამისი მრავალფეროვანი,

ინტერაქციული სტრატეგიების გამოყენება;

დ) მოსწავლეებში ბუნებრივი და სოციალური გარემოსადმი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა – მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული სტრატეგიების გამოყენება;

ე) მოსწავლეებში დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიების გამოყენება;

ვ) მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების (დაგეგმვა, მონიტორინგი, შეფასება) განვითარებასა და სწავლის ეფექტიანი სტრატეგიების დაუფლებაზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება;

ზ) თითოეული მოსწავლის მოტივაციის ამაღლებაზე ორიენტირებული სტრატეგიების გამოყენება;

თ) მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, კლასგარეშე/არაფორმალური აქტივობების (მაგ., საგნობრივი წრეები/კლუბები, სპორტული, სახელოვნებო ღონისძიებები და სხვ.) განხორციელება.

მუხლი 7. სასწავლო რესურსების გამოყენება

სასწავლო რესურსების გამოყენების ინდიკატორები:

ა) მრავალფეროვანი, სასწავლო მიზნის შესაბამისი, სკოლაში და სკოლის გარეთ არსებული რესურსების ადაპტირება და ეფექტიანი გამოყენება;

ბ) მოსწავლეებისათვის სასწავლო რესურსის თანაბარი ხელმისაწვდომობა და უსაფრთხო გამოყენება;

გ) სასწავლო მიზნისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, სასწავლო რესურსის მოძიება ან/და მომზადება მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვით;

დ) სასწავლო რესურსის მოძიება, მომზადება და გამოყენება მოსწავლეთა კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით;

ე) სასწავლო მიზნისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, სასწავლო რესურსის მოძიება ან/და მომზადება მედიაწიგნიერების პრინციპების გათვალისწინებით.

მუხლი 8. მოსწავლეთა შეფასება

მოსწავლეთა შეფასების ინდიკატორები:

ა) მოსწავლეთა შეფასებისას შეფასების ძირითად პრინციპებზე ორიენტირება;

ბ) სასწავლო მიზნის შესაბამისი შეფასების ფორმების გამოყენება;

გ) ეფექტიანი განმავითარებელი შეფასების/უკუკავშირის მიწოდება;

დ) მოსწავლეთა შეფასების შედეგების ანალიზი ინკლუზიური განათლების პრინციპების დაცვით და სასწავლო პროცესის დაგეგმვა მასზე დაფუძნებით;

ე) მოსწავლეთა შედეგების შეფასების მრავალფეროვანი სტრატეგიების/ინსტრუმენტების გამოყენება.

თავი III. პროფესიული პასუხისმგებლობები და ეთიკა

მუხლი 9. თვითგანვითარებაზე ზრუნვა

თვითგანვითარებაზე ზრუნვა გულისხმობს:

ა) პროფესიული განვითარების მიზნით თვითშეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას;

ბ) თვითშეფასების შედეგების გათვალისწინებით პროფესიული განვითარების აქტივობების/სტრატეგიების დაგეგმვასა და განხორციელებას.

მუხლი 10. სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობა და ეფექტური კომუნიკაცია

სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობა და ეფექტური კომუნიკაცია გულისხმობს:

ა) მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარებას მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და ქცევის შესახებ უკუკავშირის მიწოდებისა და პრობლემების ერთობლივად გადაჭრის მიზნით;

ბ) მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობას;

გ) კოლეგებთან თანამშრომლობას თვითგანვითარებისა და ურთიერთგანვითარების მიზნით, მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად;

დ) სასკოლო საზოგადოების ადამიანური რესურსების მიზნობრივად გამოყენებას.

მუხლი 11. სკოლის განვითარებაზე ზრუნვა

სკოლის განვითარებაზე ზრუნვა გულისხმობს:

ა) სკოლის განვითარებისკენ მიმართულ აქტივობებში მონაწილეობას;

ბ) დემოკრატიული მართვის პრინციპების გათვალისწინებას, სკოლის პრესტიჟის შენარჩუნებასა და ამაღლებაზე ზრუნვას;

გ) მოსწავლეთა ჩართვას ისეთ აქტივობებში, რომლებიც ზრდის სკოლისადმი მათი მიკუთვნებულობის განცდას.

მუხლი 12. პროფესიული ეთიკის დაცვა

პროფესიული ეთიკის დაცვა გულისხმობს „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 ივლისის №57/ნ ბრძანებით განსაზღვრული ნორმების შესრულებას, ასევე:

ა) მოსწავლეებისთვის ეთიკური ქცევის მაგალითის მიცემას;

ბ) მოსწავლეებისთვის ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დაცვის მაგალითის მიცემას;

გ) პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების მიღებას;

დ) მოსწავლეებში მოქალაქეობის, აგრეთვე მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობას.

თავი IV. დამატებითი მოთხოვნები და კომპეტენციები წამყვანი და მენტორი მასწავლებლისთვის

მუხლი 13. დამატებითი მოთხოვნები და კომპეტენციები წამყვანი და მენტორი მასწავლებლისთვის

დამატებითი მოთხოვნები და კომპეტენციები წამყვანი და მენტორი მასწავლებლისთვის

განსაზღვრულია ცხრილი 1-ისა და ცხრილი 2-ის შესაბამისად.

ცხრილი 1	
წამყვანი მასწავლებელი	
ვალდებულებები	**კომპეტენციები**
ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე: ეხმარება კოლეგებს მათი საჭიროებების განსაზღვრაში, პროფესიული განვითარების აქტივობების/სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებაში. საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციებს უწევს ტუტორებს/პრაქტიკის ხელმძღვანელებს ან თავად ასრულებს ტუტორის/პრაქტიკის ხელმძღვანელის ფუნქციებს.	• შეუძლია მასწავლებლის საჭიროებების იდენტიფიცირება; • შეუძლია გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისი პროფესიული განვითარების აქტივობების/სტრატეგიების შერჩევა; • შეუძლია პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმის შემუშვება და გეგმის განხორციელების მონიტრინგი; • აქვს ეფექტური კომუნიკაციის უნარი – შეუძლია განვითარებაზე ორიენტირებული უკუკავშირის მიწოდება.
აქვს ზოგადი განათლების სისტემის ფართო ხედვა. ეცნობა ზოგადად განათლების სფეროში და სასკოლო სისტემებში მიმდინარე მოვლენებს, თანამედროვე პროფესიულ ლიტერატურას და საგანმანათლებლო კვლევებს ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე. მიღებულ გამოცდილებას იყენებს საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში და, ასევე, უზიარებს კოლეგებს.	• აქვს ინფორმაციის მოძიების, გაფილტვრის, დამუშავების უნარი; • აქვს ცოდნა ზოგადი განათლების პოლიტიკისა და მართვის შესახებ; • იცნობს თანამედროვე პროფესიულ ლიტერატურას და საგანმანათლებლო კვლევებს; • არსებულ ცოდნას იყენებს საკუთარი და კოლეგების პედაგოგიური პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.
ატარებს სკოლის/ადგილობრივი ადგილობრივი საზოგადოების(თემის) საჭიროების კვლევებს, მიგნებებს იყენებს სკოლის/თემის განვითარების მიზნით.	• აქვს კვლევითი უნარები: შეუძლია საკვლევი საკითხის იდენტიფიცირება სკოლისა და ადგილობრივი საზოგადოების (თემის) საჭიროებიდან გამომდინარე, კვლევის დაგეგმვა და განხორციელება, ინტერვენციების შედეგების შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
ამყარებს კონტაქტებს ეროვნულ დონეზე სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან საუკეთესო პრაქტიკის დასანერგად და მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად.	• შეუძლია საქმიანი და თანამშრომლობითი კონტაქტების დამყარება; • აქვს უნარი, მკაფიოდ გამოკვეთოს სათქმელი და წარმოაჩინოს საკუთარი სკოლის ინტერესები; • შეუძლია ისეთი ღონისძიებების, პროექტების დაგეგმვა, რომლებიც ხელს შეუწყობს სკოლის, როგორც თვითგანვითარებადი ორგანიზაციის, ჩამოყალიბებასა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას.
სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე, ამყარებს კომუნიკაციას და თანამშრომლობს მესამე პირებთან.	• შეუძლია საქმიანი და თანამშრომლობითი კონტაქტების დამყარება; • აქვს მკაფიო ხედვა სკოლის საგანმანათლებლო საჭიროებებისა და მათი გადაწყვეტის გზების შესახებ; • აქვს უნარი, მკაფიოდ გამოკვეთოს სათქმელი და წარმოაჩინოს საკუთარი ორგანიზაციის ინტერესები.
ინიცირებას უკეთებს და მონაწილეობს სოციალურ აქტივობებში: სასკოლო/სკოლათშორის/სათემო პროექტებში.	• აქვს სოციალური პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების უნარები; • კარგად იცის და იზიარებს სამოქალაქო ღირებულებებს, შეუძლია მათი დანერგვა სკოლაში და თემში.
ხელს უწყობს მოსწავლეების პროფორიენტაციას.	• აქვს ჩამოყალიბებული რეგიონის განვითარების ხედვა; • შეუძლია გაეცნოს და მოსწავლეებში პოპულარიზაცია გაუწიოს პროფესიებს, რომლებიც ხელს უწყობს რეგიონის განვითარებას.
არის ინიციატორი, გეგმავს და სხვათა თანამონაწილეობით/ჩართულობით ახორციელებს დემოკრატიული კულტურის, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის, ციფრული უნარების, ციფრული მოქალაქეობის, ინკლუზიური გარემოს, გლობალური მოქალაქეობის ხელშემწყობ აქტივობებს.	• იცნობს და იზიარებს გლობალური მოქალაქეობისა და მდგრადი განვითარების ძირითად პრინციპებს; • აქვს უნარი, გაანალიზოს და გაავრცელოს გლობალური მოქალაქეობისა და მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპები სკოლაში; • ახორციელებს აქტივობებს სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეების ჩართულობით მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით.

ცხრილი 2	
მენტორი მასწავლებელი	
ვალდებულებები	**კომპეტენციები**
ადგენს მასწავლებელთა საჭიროებებს და გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავს სკოლის პედაგოგთა პროფესიული განვითარების ერთიან სტრატეგიას.	• ფლობს და იყენებს სკოლის საჭიროებების დადგენის სხვადასხვა მეთოდოლოგიას; • აქვს ანალიტიკური, კვლევითი უნარები და სტრატეგიული ხედვა; • შეუძლია სკოლის სტრატეგიული გეგმის შემუშავება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით.
შეიმუშავებს რეკომენდაციებს ეროვნულ დონეზე ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.	• აქვს კვლევითი უნარები: შეუძლია საკვლევი საკითხის იდენტიფიცირება, კვლევის დაგეგმვა და განხორციელება, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.
ამყარებს კონტაქტებს საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან საუკეთესო პრაქტიკის დასანერგად და მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად.	• შეუძლია მოიძიოს ინფორმაცია სხვადასხვა საერთაშორისო თუ უცხოური ორგანიზაციის საქმიანობის, ასევე გლობალური პროექტების შესახებ; • შეუძლია თანამშრომლობის მიზნის განსაზღვრა და პარტნიორული ურთიერთობების დამყარება საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებთან სკოლის/თემის/რეგიონის საგანმანათლებლო საჭიროებებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე; • შეუძლია ისეთი ღონისძიებების, პროექტების დაგეგმვა, რომლებიც ხელს შეუწყობს სკოლის, როგორც თვითგანვითარებადი ორგანიზაციის, ჩამოყალიბებასა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას; • შეუძლია საქმიანი და თანამშრომლობითი კონტაქტების დამყარება; • აქვს უნარი, მკაფიოდ გამოკვეთოს სათქმელი და წარმოაჩინოს სკოლის ინტერესები; • აქვს კარგად განვითარებული აკადემიური და ფუნქციური წერის უნარები.

თავი V. სპეციალური მასწავლებლის სასწავლო პროცესი

მუხლი 14. სპეციალური მასწავლებლის მიერ პოზიტიური, უსაფრთხო, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ფორმირება

პოზიტიური, უსაფრთხო, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნის (ან ფორმირება) ინდიკატორები:

ა) სპეციალური და ინკლუზიური განათლების პრინციპების გამოყენება მოსწავლესთან კომუნიკაციის პროცესში;

ბ) უნივერსალური დიზაინის პრინციპების გამოყენება სსსმ მოსწავლის სწავლებისა და რესურსოთახის მოწყობის პროცესში;

გ) სსსმ მოსწავლესა და კლასის სხვა მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

დ) სსსმ მოსწავლის სკოლის სხვადასხვა ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხარისხის გაზრდის ხელშეწყობა;

ე) საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლისათვის სწავლის პროცესში კომუნიკაციის დამხმარე ან/და ალტერნატიული საშუალებების გამოყენების ხელშეწყობა;

ვ) სსსმ მოსწავლეების საბაზო ან/და საშუალო საფეხურიდან შემდეგ საფეხურზე გადასვლის – ტრანზიციის ხელშეწყობა;

ზ) რეკომენდაციის გაწევა მასწავლებლების, სხვა სპეციალისტებისა და მშობლებისთვის სსსმ მოსწავლესთან მუშაობის დროს აუცილებელი უნარების განვითარების მიზნით;

თ) სსსმ და სხვა მოსწავლეების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მშობლებთან, მასწავლებლებთან, სკოლის ადმინისტრაციასა და სხვა სპეციალისტებთან თანამშრომლობა;

ი) სსსმ მოსწავლის ან მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის შესაბამის სერვისში რეფერირება (გადამისამართება);

კ) კანონით დადგენილი და საერთაშორისოდ აღიარებული ტერმინოლოგიის დანერგვა სასკოლო გარემოში.

მუხლი 15. სპეციალური მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვა

სპეციალური მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვის ინდიკატორები:

ა) ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციაში (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა – მოდიფიკაცია, აკომოდაცია, ალტერნატიული სასწავლო მიზნები; ალტერნატიული სასწავლო გეგმა, გაფართოებული სასწავლო გეგმა), შექმნა/განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

ბ) საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელთან, დამრიგებელთან, სხვა სპეციალისტებთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ერთად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტის შექმნა-განხორციელებაში მონაწილეობა;

გ) სსსმ მოსწავლის აკადემიურ მიღწევასთან დაკავშირებით რელევანტური საგანმანათლებლო მიზნების დასახვა;

დ) სსსმ მოსწავლისთვის ეფექტიანი სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით ალტერნატიული სასწავლო გეგმის გამოყენება;

ე) სსსმ მოსწავლეებთან მათი საგანმანათლებლო საჭიროებების უზრუნველყოფის მიზნით ინდივიდუალურ და მცირე ჯგუფებში მუშაობის დაგეგმვა და განხორციელება;

ვ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა-განხორციელების სუპერვიზია და მონიტორინგი;

ზ) სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს სსსმ მოსწავლის ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება;

თ) სსსმ მოსწავლის მომზადება სასწავლო გარემოსთან დაკავშირებული ცვლილებებისთვის, სხვა სკოლაში ან განათლების სხვა საფეხურზე ტრანზიციისათვის.

მუხლი 16. სპეციალური მასწავლებლის მიერ სწავლისა და სწავლების სტრატეგიების გამოყენება

სპეციალური მასწავლებლის მიერ სწავლისა და სწავლების სტრატეგიების გამოყენების ინდიკატორები:

ა) საჭიროების შემთხვევაში, გაკვეთილზე დასწრება და მოსწავლისთვის გაცემულ ინსტრუქციებთან დაკავშირებით საგნის მასწავლებლისთვის რეკომენდაციების მომზადება;

ბ) სსსმ მოსწავლის სწავლების პროცესში მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციების გათვალისწინება;

გ) სსსმ პირის ასისტენტისთვის რეკომენდაციების მომზადების მიზნით გაკვეთილზე დასწრება;

დ) წინა აკადემიური უნარ-ჩვევების დაუფლების მიზნით სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პროცესში სწავლების განსხვავებული მიდგომების, მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება;

ე) სსსმ მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართვის მიზნით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფთან მუშაობა;

ვ) სსსმ მოსწავლეების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით ფუნქციური უნარების, ადაპტური ქცევისა და სოციალური უნარების სწავლების მეთოდიკის გამოყენება;

ზ) ეფექტური სწავლების მიზნით სსსმ მოსწავლის პრობლემური ქცევის შეფასების, პრევენციისა და მართვის მრავალფეროვანი ტექნიკის, მათ შორის, ქცევის გამოყენებითი (Applide Behavioral Analysis-ABA) ანალიზის გამოყენება;

თ) სსსმ მოსწავლეების შემეცნებითი, სოციალური, ემოციური, მოტორული და ქცევითი თავისებურებების შესაბამისად სწავლების სტრატეგიების გამოყენება;

ი) სსსმ მოსწავლეებისთვის შესაბამისი აკადემიური უნარების განვითარების პროცესში სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპებისა და ინდივიდუალიზებული მეთოდების გამოყენება;

კ) სსსმ მოსწავლის სწავლების მეთოდოლოგიების/სტრატეგიების და დახმარების ტექნოლოგიების გამოყენება;

ლ) სსსმ მოსწავლისათვის თვითგანვითარებისა და თვითრეგულაციის სტრატეგიების სწავლება;

მ) საბაზო აკადემიური უნარების (წერა, კითხვა და ანგარიში) განვითარების მიზნით, სსსმ მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით, შესაბამისი სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება;

ნ) ქცევის მართვის სტრატეგიების გამოყენება.

მუხლი 17. სპეციალური მასწავლებლის მიერ სასწავლო რესურსების გამოყენება

სპეციალური მასწავლებლის მიერ სასწავლო რესურსების გამოყენების ინდიკატორები:

ა) სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით საგანმანათლებლო რესურსების შექმნა;

ბ) სსსმ მოსწავლის სწავლების პროცესში დამხმარე რესურსების გამოყენება;

გ) სსსმ მოსწავლის საქაღალდის წარმოება, რაც გულისხმობს მოსწავლის აკადემიური და კოგნიტური უნარების განვითარების ისტორიის აღრიცხვას, საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებით;

დ) სსსმ მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, მისი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით არასაგაკვეთილო რესურსების შექმნა და აქტივობების დაგეგმვა.

მუხლი 18. სპეციალური მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა შეფასება

სპეციალური მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა შეფასების ინდიკატორები:

ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების რისკის ქვეშ მყოფი მოსწავლის დროული იდენტიფიცირება და პირველადი მართვის გეგმის შედგენა;

ბ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების იდენტიფიცირების მიზნით პირის დროული რეფერირება შესაბამის სპეციალისტთან;

გ) სსსმ მოსწავლის კოგნიტური, აკადემიური, კომუნიკაციური, სოციალური, ემოციური, მოტორული და ფუნქციური უნარების პირველადი შეფასება;

დ) მულტიდისციპლინური გუნდისა და სხვა სპეციალისტის/სპეციალისტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეფასების შედეგების გაცნობა და გათვალისწინება სასწავლო პროცესში საჭიროებიდან გამომდინარე;

ე) სსსმ მოსწავლის წინა აკადემიური ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება/იდენტიფიკაცია;

ვ) სსსმ მოსწავლის შეფასებისას, მოსწავლის ეთნიკური, რელიგიური, კულტურული, სქესობრივი და სხვა თავისებურებების (უნიკალობის) გათვალისწინება;

ზ) სსსმ მოსწავლის სწავლისა და სწავლების პროცესთან დაკავშირებით შეფასების საფუძველზე სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისთვის რეკომენდაციების გაცემა;

თ) სასწავლო მიზნების პროგრესის მონიტორინგისთვის სსსმ მოსწავლეთა გადაფასება;

ი) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზნებთან მიმართებით სსსმ მოსწავლეების სწავლის შედეგების შეფასება.

თავი VI. სპეციალური მასწავლებლის პროფესიული პასუხისმგებლობები და ეთიკა

მუხლი 19. სპეციალური მასწავლებლის მიერ თვითგანვითარებაზე ზრუნვა

სპეციალური მასწავლებლის მიერ თვითგანვითარებაზე ზრუნვა გულისხმობს:

ა) პროფესიული განვითარების მიზნით თვითშეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას;

ბ) თვითშეფასების შედეგების გათვალისწინებით ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავებას/განახლებას და საკუთარ სამასწავლებლო საქმიანობაში ცვლილებების განხორციელებას;

გ) საკუთარი სამუშაო გამოცდილების კრიტიკულად შეფასებას და განვითარებასა და გაუმჯობესებაზე ზრუნვას;

დ) პროფესიული განვითარების სხვადასხვა საშუალებისა და რესურსის გამოყენებას პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განსავითარებლად;

ე) პროფესიული ლიტერატურის მოძიებას და გამოყენებას საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის შეფასებისა და გაუმჯობესებისათვის.

მუხლი 20. სპეციალური მასწავლებლის სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობა და ეფექტური კომუნიკაცია

სპეციალური მასწავლებლის სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობა და ეფექტური კომუნიკაცია გულისხმობს:

ა) სსსმ მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებებიდან გამომდინარე, დამატებითი მატერიალური და ადამიანური რესურსის ჩართვის მიზნით სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობას;

ბ) სსსმ მოსწავლის კლასში ქცევის მართვის, ისევე, როგორც მთლიანად კლასში პოზიტიური ქცევის მხარდაჭერის მიზნით საგნის მასწავლებელთან/მასწავლებლებთან თანამშრომლობას;

გ) კოლეგებთან და სსსმ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან საუბრისას კომუნიკაციის ეფექტური საშუალებების გამოყენებას (ფორმალურ და შინაარსობრივ დონეზე);

დ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ჯგუფში წარმოქმნილი პრობლემის იდენტიფიცირებას და პრობლემის მოგვარების მიზნით რეკომენდაციების გაცემას;

ე) სსსმ მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ეფექტურ თანამშრომლობას;

ვ) სსსმ მოსწავლის მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის, აღმზრდელისთვის მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;

ზ) სსსმ მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესში და საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართვის მხარდაჭერას;

თ) სსსმ მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესში მიღწეული წარმატებებისა და სხვა საჭიროებების გაცნობის მიზნით მოსწავლის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის შემთხვევაში, ამ დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სპეციალურ მასწავლებელთან, საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა პირებთან თანამშრომლობას;

ი) საჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლის სკოლისშემდგომი განათლებისა და მისი საზოგადოებაში ინტეგრირების მიზნით, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებისათვის რეკომენდაციების მიცემას.

მუხლი 21. სპეციალური მასწავლებლის მიერ სკოლის განვითარებაზე ზრუნვა

სპეციალური მასწავლებლის მიერ სკოლის განვითარებაზე ზრუნვა გულისხმობს:

ა) სკოლის განვითარებისაკენ მიმართულ აქტივობებში მონაწილეობას;

ბ) სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდას; სკოლის პრესტიჟის შენარჩუნებასა და ამაღლებაზე ზრუნვას;

გ) სსსმ საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართვას ისეთ აქტივობებში, რომლებიც ზრდის სკოლისადმი მათი მიკუთვნებულობის განცდას;

დ) ინკლუზიური კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობას;

ე) ინკლუზური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული კამპანიების ორგანიზება ან/და თანამონაწილეობას.

მუხლი 22. სპეციალური მასწავლებლის მიერ პროფესიული ეთიკის დაცვა

სპეციალური მასწავლებლის მიერ პროფესიული ეთიკის დაცვა გულისხმობს „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 ივლისის №57/ნ ბრძანებით განსაზღვრული ნორმების შესრულებას, ასევე:

ა) სსსმ მოსწავლეებისთვის ეთიკური ქცევის მაგალითის მიცემას;

ბ) სსსმ მოსწავლეებისთვის ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დაცვის მაგალითის მიცემას;

გ) პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების მიღებას;

დ) სსსმ მოსწავლეებში მოქალაქეობის, აგრეთვე მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობას.

თავი VII. დამატებითი მოთხოვნები და კომპეტენციები წამყვანი და მენტორი სპეციალური მასწავლებლისათვის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 5 აპრილის დადგენილება №23/ნ - ვებგვერდი, 06.04.2023 წ.

მუხლი 23. დამატებითი მოთხოვნები და კომპეტენციები წამყვანი სპეციალური მასწავლებლისათვის

ცხრილი 3

წამყვანი სპეციალური მასწავლებელი	
ვალდებულებები	**კომპეტენციები**
1) კოლეგების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა ინკლუზიური განათლების სფეროში: • ეხმარება კოლეგებს (სპეციალურ მასწავლებლებს, ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებს და მასწავლებლებს) პროფესიულ განვითარებაში ინკლუზიური განათლების მიმართულებით მათი პროფესიული საჭიროებების განსაზღვრაში, პროფესიული განვითარებისთვის საჭირო რელევანტური აქტივობების/სტრატეგიების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში; • საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციებს უწევს სსსმ მოსწავლეების მასწავლებლებს, ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებს და მშობლებს.	• შეუძლია მასწავლებლებლების და სკოლის ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოკვეთა ინკლუზიური განათლების მიმართულებით; • შეუძლია გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობების/სტრატეგიების შერჩევა სსსმ მოსწავლეთა სწავლებისა და ქცევის გაუმჯობესების მიზნით; • შეუძლია პროფესიული განვითარებისთვის საჭირო გეგმის შემუშავება და გეგმის განხორციელების მონიტორინგი; • აქვს ეფექტური კომუნიკაციის უნარი - შეუძლია კოლეგებისთვის განვითარებაზე ორიენტირებული უკუკავშირის მიწოდება სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის უნარების დახვეწასა და ცოდნის გაფართოების მიმართულებით (ფიზიკური შეზღუდვის, ინტელექტუალური განვითარების დარღვევის; სწავლის უნარის დარღვევის; სმენის და/ან მხედველობის დარღვევის; მეტყველების განვითარების დარღვევის; ქცევითი და ემოციური დარღვევის მქონე მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობისთვის); • კოლეგებს ეხმარება გაიღრმავონ ცოდნა და უნარები სსსმ მოსწავლეთა უნარების შეფასების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის, სწავლა - სწავლების სტრატეგიების განსაზღვრის, ქცევის მართვის გეგმის, ტრანზიციის გეგმის, სწავლების უნივერსალური დიზაინის და სხვა საჭირო საკითხების მიმართულებით; • ქმნის პროფესიულ რესურსებს - წერილობითი, ვიზუალური, ვიდეო ან აუდიომასალების სახით, ინკლუზიური განათლების მიმართულებით კოლეგების პროფესიული განვითარების მიზნით.
2) ინკლუზიური განათლების შესახებ ცოდნის გაფართოება და პრაქტიკის გაუმჯობესება: • ეცნობა ინკლუზიური განათლების სფეროში მიმდინარე ბოლოდროინდელ ცვლილებებს, თანამედროვე პროფესიულ ლიტერატურას და საგანმანათლებლო კვლევებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე; • მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას უზიარებს კოლეგებს სკოლის ინკლუზიური განათლების და კულტურის გაუმჯობესების მიზნით.	• აქვს ინკლუზიური განათლების სფეროში პროფესიული ლიტერატურის და თანამედროვე მეცნიერული ინფორმაციის მოძიების, გაფილტვრის და დამუშავების უნარი; • აქვს ცოდნა ინკლუზიური განათლების პოლიტიკის, პრაქტიკის, მონიტორინგის და მართვის შესახებ; • იცნობს და იყენებს თანამედროვე პროფესიულ ლიტერატურას განვითარების დარღვევების, სწავლების სტრატეგიების, ქცევის მართვის, სპეციალური საჭიროებების და ინკლუზიური განათლების შესახებ; • არსებულ ცოდნას იყენებს საკუთარი და კოლეგების პედაგოგიური პრაქტიკის გასაუმჯობესებლად; • მუშაობისას იზიარებს და ეყრდნობა ინკლუზიურ განათლებაში არსებულ ბოლოდროინდელ სამეცნიერო საგანმანათლებლო კვლევებს; • ქმნის პორტფოლიოს და შესაბამისად აწარმოებს მასში შემავალ დოკუმენტებს; • შეუძლია ალტერნატიული სასწავლო გეგმებით ხელმძღვანელობა; • პრაქტიკის პროცესში იყენებს სწავლისა და განვითარების ძირითად თეორიებს.
3) ინკლუზიური განათლების სფეროში კვლევების ჩატარება: • ატარებს სკოლის ან/და ადგილობრივი საზოგადოების (თემის) საჭიროების კვლევებს ინკლუზიური განათლების სფეროში, მიგნებებს	• აქვს კვლევითი უნარები: შეუძლია საკვლევი საკითხის იდენტიფიცირება ინკლუზიური განათლების სფეროში სკოლისა და ადგილობრივი საზოგადოების (თემის) საჭიროებიდან გამომდინარე;

იყენებს სკოლის/თემის განვითარების მიზნით; • იკვლევს ინკლუზიური განათლების საჭიროებებსა და ბარიერებს, კვლევის შედეგებს იყენებს საუკეთესო პრაქტიკის დანერგვისა და განხორციელებისთვის.	• ფლობს კვლევის მეთოდებს, შეუძლია კვლევის დაგეგმვა და განხორციელება ინკლუზიურ განათლებაში არსებული საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის, ასევე, ინტერვენციის შედეგების შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება; • შეუძლია კვლევის შედეგების გამოყენება სსსმ მოსწავლეებთან პრაქტიკული მუშაობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესისთვის.
4) ეფექტური და პოზიტიური თანამშრომლობა სხვა ორგანიზაციებთან და პროფესიონალებთან: • გარდა სკოლისა, თანამშრომლობს ინკლუზიური განათლების სფეროში მომუშავე სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან - საუკეთესო პრაქტიკის დასანერგად და სსსმ მოსწავლეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესებისთვის; • კომუნიკაციას ამყარებს და თანამშრომლობს სკოლის ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებთან, ასევე, ინკლუზიური განათლების იმ ექსპერტებთან და სხვა პროფესიონალებთან, რომლებიც მუშაობენ ინკლუზიური და სპეციალური განათლების საკითხებზე, ან/და დამატებით ინტერვენციას ეწევიან სსსმ მოსწავლესთან სკოლის გარეთ.	• შეუძლია საქმიანი და თანამშრომლობითი კონტაქტების დამყარება სსსმ მოსწავლეთა განვითარებასა და განათლებაში ჩართულ სხვა სპეციალისტებსა და პროფესიონალებთან როგორც სკოლის შიგნით, ისე სკოლის გარეთ; • აქვს უნარი, მკაფიოდ და რელევანტურად გამოკვეთოს სათქმელი და წარმოაჩინოს საკუთარი სკოლისა და სსსმ მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები; • შეუძლია ისეთი ღონისძიებების, პროექტების დაგეგმვა სხვებთან თანამშრომლობის საფუძველზე, რომლებიც ხელს შეუწყობს სკოლაში ინკლუზიური განათლების განვითარებასა და სსსმ მოსწავლეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესებას; • საჭიროებების შესახებ მსჯელობს და გადაწყვეტილებებს იღებს გუნდური მუშაობის პრინციპით.
5) სსსმ მოსწავლეთა ადვოკატირება, ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა და ინკლუზიური კულტურის დამკვიდრება: • ინიცირებას უკეთებს და მონაწილეობს ინკლუზიურ სოციალურ აქტივობებში: სასკოლო/სკოლათშორის/სათემო პროექტებში; • არის ინიციატორი, გეგმავს და სხვათა თანამონაწილეობით/ჩართულობით ახორციელებს ინკლუზიური გარემოს განვითარების ხელშემწყობ აქტივობებს; • გეგმავს და სხვათა თანამონაწილეობით/ჩართულობით ახორციელებს ცნობიერების ამაღლებაზე მიმართულ აქტივობებს/პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობს ტოლერანტობის, მრავალფეროვნების, განსხვავებულობის მიმართ მიმღებლობის და ინკლუზიური კულტურის დამკვიდრებას; • ახორციელებს აქტივობებს, რომლებიც სსსმ მოსწავლეების და განსხვავებული საჭიროების მქონე პირების უფლებათა დაცვაზეა ორიენტირებული.	• აქვს სოციალური პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების უნარები; • იცნობს და იზიარებს მდგრადი ინკლუზიური განვითარების ძირითად პრინციპებს; • აქვს უნარი, გააზიაროს და გაავრცელოს მდგრადი ინკლუზიური განვითარების ძირითადი პრინციპები, არადისკრიმინაციული ტერმინოლოგია და ტოლერანტული დამოკიდებულება სკოლაში; • ახორციელებს აქტივობებს სსსმ მოსწავლეებისა და სხვადასხვა სპეციალისტების, პროფესიონალების, სფეროს აქტივისტების ჩართულობით; • აქვს უნარი, გააზიაროს და დანერგოს, ასევე ამ პროცესში ჩართოს სხვა ადამიანები განსხვავებულობის აღიარებისა და უფლებათა დაცვაზე მიმართულ აქტივობებში.
6) სსსმ მოსწავლეთა ტრანზიციის ხელშეწყობა და პროფესიული ორიენტაცია: • ხელს უწყობს სსსმ მოსწავლის ზოგად განათლებაში, ზოგადი განათლების საფეხურებს შორის და ზოგადი განათლების შემდგომ საფეხურზე ტრანზიციას, მის უნარებსა და ინტერესებზე მუშაობით ისგ ჯგუფთან ერთად; • ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეების თვითგამორკვევას, შეფასებას და პროფორიენტაციას; • ამზადებს სსსმ მოსწავლეებს დამოუკიდებელი ან/და ნახევრად დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.	• გეგმავს, აყალიბებს და ახორციელებს ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმას სსსმ მოსწავლის ერთი საფეხურიდან (ან/და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან) მეორეზე გადასვლის პროცესში (სკოლამდელი დაწესებულებიდან ზოგადი განათლების საფეხურზე, ზოგადი განათლებიდან პროფესიული ან/და უმაღლესი განათლების საფეხურზე, სკოლის შიგნით - დაწყებით, საშუალო და საბაზო საფეხურზე); • შეუძლია სსსმ მოსწავლეებში პოპულარიზაცია გაუწიოს პროფესიებს და ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ ორიენტაციას; • შეუძლია სსსმ მოსწავლეთა ინტერესების გამოვლენა და საბაზო აკადემიური და წინა პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული შემოქმედებითი, სპორტული და სხვა აქტივობების გამოყენება.

მუხლი 24. დამატებითი მოთხოვნები და კომპეტენციები მენტორი სპეციალური მასწავლებლისათვის

ცხრილი 4

მენტორი სპეციალური მასწავლებელი	
ვალდებულებები	**კომპეტენციები**
1) სკოლის ინკლუზიური განვითარების სტრატეგიის შემუშავება: • იკვლევს და ადგენს სკოლის ინკლუზიური განათლების საჭიროებებს და განვითარების სტრატეგიას; • იკვლევს და ადგენს მასწავლებელთა საჭიროებებს და გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავს სკოლის მასწავლებლების, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების და პრაქტიკოსი, უფროსი და წამყვანი სპეციალური მასწავლებლების პროფესიული განვითარების ერთიან სტრატეგიას ინკლუზიური განათლების მიმართულებით.	• ფლობს და იყენებს სკოლის საჭიროებების დადგენის სხვადასხვა მეთოდოლოგიას, რაც ავლენს საჭიროებებს ინკლუზიური განათლების განვითარების მიმართულებით; • აქვს ანალიტიკური, კვლევითი უნარები და სტრატეგიული ხედვა; • შეუძლია სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება ინკლუზიური განათლების განვითარების მიმართულებით; • შეუძლია მასწავლებლების და სკოლის ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება; • შეუძლია ინკლუზიურ ღირებულებებზე ორიენტირებული სტრატეგიის დანერგვა და განვითარება სკოლასა და თემში.
2) კვლევის დაგეგმვა და ჩატარება: კვლევის დაგეგმვისა და ჩატარების საფუძველზე, შედეგებზე დაყრდნობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლისა და თემის დონეზე ინკლუზიური განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.	• აქვს კვლევითი უნარები: შეუძლია საკვლევი საკითხის იდენტიფიცირება, კვლევის დაგეგმვა და განხორციელება, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება; • შეუძლია სკოლის ინკლუზიური განათლების მონიტორინგის გეგმის შემუშავება და მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ინტერვენციის გეგმის შეთავაზება, ასევე ინტერვენციის შეფასება.
3) თანამშრომლობა: ამყარებს კონტაქტებს საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან საუკეთესო პრაქტიკის დასანერგად ინკლუზიური განათლების მიმართულებით.	• შეუძლია მოიძიოს ინფორმაცია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ინკლუზიური განათლების მიმართულებით, ასევე გლობალური პროექტების შესახებ; • შეუძლია თანამშრომლობის მიზნის განსაზღვრა და პარტნიორული ურთიერთობების დამყარება საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებთან სკოლის/თემის/რეგიონის ინკლუზიური განათლების გაუმჯობესების მიზნით; • შეუძლია ისეთი ღონისძიებების, პროექტების დაგეგმვა, რომლებიც ხელს შეუწყობს სკოლის, როგორც თვითგანვითარებადი ორგანიზაციის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, რაც აისახება ინკლუზიური განათლების პრაქტიკის გაუმჯობესებაზე; • შეუძლია საქმიანი და თანამშრომლობითი კონტაქტების დამყარება; • აქვს უნარი, მკაფიოდ გამოკვეთოს სათქმელი და წარმოაჩინოს სკოლის ინტერესები ინკლუზიური განათლების პრინციპებისა და ხედვის საფუძველზე; • კარგად აქვს განვითარებული აკადემიური და ფუნქციური წერის უნარები.
4) კონსულტირება და მენტორობა:	• კონსულტირებას და მენტორობას უწევს პრაქტიკოს, უფროს და წამყვან სპეციალურ მასწავლებლებს სსსმ მოსწავლეების აკადემიური, კოგნიტური, ემოციური, ქცევითი, კომუნიკაციური და სხვა უნარების შეფასებისა და განვითარების ხელშეწყობისთვის; • კონსულტირებას და მენტორობას უწევს პრაქტიკოს, უფროს და წამყვან სპეციალურ მასწავლებლებს სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენასა

საჭიროებებიდან გამომდინარე, კონსულტაციას და მენტორობას უწევს პრაქტიკოს, უფროს და წამყვან სპეციალურ მასწავლებლებს.	განხორციელებაში; • თავად ქმნის პორტფოილიოს და შესაბამისად აწარმოებს მასში შემავალ დოკუმენტებს, ასევე კონსულტირებას და მენტორობას უწევს პრაქტიკოს, უფროს და წამყვან სპეციალურ მასწავლებლებს პორტფოლიოს წარმოებაში; • კონსულტირებას უწევს კოლეგებს სსსმ მოსწავლის რთული ქცევის მართვის საკითხში - ქცევის ანალიზი, პრევენცია და ინტერვენცია; • მენტორობას უწევს კოლეგებს, იმუშაონ სწავლების უნივერსალური დიზაინის საფუძველზე.